საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/60 "15" თებერვალი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობისა და მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლისა და 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განხორციელდეს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია სისხლის სამართლის პროცესის შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა) გამოძიების ეტაპი (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, შუამდგომლობები გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, გამოძიების ეტაპთან დაკავშირებული სხვა საკითხები);

ბ) წინასასამართლო სხდომის ეტაპი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2016 წლის 20 თებერვლიდან.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი